სოციალური მედიის გამოყენების რომელი ინდიკატორი წინასწარმეტყველებს თვითშეფასებას და აკადემიურ მოსწრებას

მაგისტრანტი თინათინ ტყეშელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

14 ივნისი, 2024 წელი

აბსტრაქტი

სოციალური მედიის გამოყენება დღევანდელ რეალობაში მოზარდების ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი გახდა, რაც გავლენას ახდენს მათ თვითშეფასებაზე და აკადემიურ მოსწრებაზე. ბევრი კვლევა, რომელიც ამ საკითხს იკვლევს, ფოკუსირებულია სოციალური მედიის განზოგადებულ გამოყენებაზე, მაშინ როცა მნიშვნელოვანია იმ კონკრეტული ინდივიკატორების დადგენა, რომელიც საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებს მისცემს საშუალებას, ისე მართონ სოციალური მედიის კონტენტი, რომ მოზარდების თვითშეფასება და აკადემიური მოსწრება მაქსიმალურად იყოს ამაღლებული. ამ ნაშრომში განვიხილავ სოციალური მედიის გამოყენების კონკრეტულად რომელი ინდიკატორი წინასწარმეტყველებს მოზარდის თვითშეფასებას და აკადემიურ მოსწრებას. ნაშრომი იკვლევს ისეთ ძირითად ინდიკატორებს, როგორიც არის: გამოყენების სიხშირე, ინტენსივობა და გამოყენების მიზეზები (ინფორმაციის მიღების მიზნით, აკადემიური მიზნებისთვის, გართობისთვის და სოციალიზაციისთვის). შედეგები აჩვენებს სუსტ და სტატისტიკურად უმნიშვნელო კორელაციას ცვლადებს შორის. კონკრეტულად კვლევის ფარგლებში, კორელაცია არ მიუთითებს სოციალური მედიის გამოყენების ინდიკატორების მნიშვნელოვან კავშირზე თვითშეფასებასთან და აკადემიურ მოსწრებასთან, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სოციალური მედიის გამოყენების სხვა ფაქტორების კვლევაა აუცილებელი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სოციალური მედიის გამოყენება, თვითშეფასება, აკადემიური მოსწრება, მოზარდები.

Abstract

In today's reality the use of social media has become an integral part of teenagers' everyday lives, affecting their self-esteem and academic performance. Most research that examines this issue focuses on the general use of social media, while it is important to identify specific indicators that will allow educators to manage social media content in ways that maximize adolescent self-esteem and academic achievement. In this research, I examine specifically which indicator of social media use predicts self-esteem and academic performance. This research examines key indicators of social media use, such as: frequency of use, intensity and reasons of use (for academic purposes, for getting information, for socialization and for entertainment). I studied the association between these indicators and what influence they have on the adolescent's self-esteem and academic achievement. The results show a weak and statistically insignificant correlation between dependent variables and predictors.

Keywords: social media use, self-esteem, academic performance, adolescents.

მადლობა

გამოვხატავ ჩემს გულწრფელ მადლიერებას იმ ფასდაუდებელი მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის, რომელიც მივიღე სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას ჩემი ხელმძღვანელისგან, ილიას სახელმწიფო უნივერიტესტის ასოცირებულ პროფესორისგნა ნინო სხირტლაძისგან. მისი მუდმივი ჩართულობა, რეკომენდაციები, დახმარება, ურყევი მხარდაჭერა და ხელმძღვანელობა გადამწყვეტი იყო აღნიშნულ კვლევაზე მუშაობის პროცესში. მისი პროფესიული გამოცდილების გარეშე შუძლებელი იქნებოდა ამ კვლევის დასრულება.

ასევე მადლობას ვუხსი კვლევაში მონაწილე თითოეულ რესპოდენტს. მათი ჩართულობა არსებითად მნიშვნელოვანი იყო კვლევისთვის.